დანართი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

| ექსპერტთა ჯგუფის წევრები |
| --- |
| თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრები:** |
| გოდერძი ბუჩაშვილი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| გიორგი ქურდიანი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია,  საქართველო |

თბილისი
2020

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

## ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

### ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| სახელწოდება | აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| სახე | უნივერსიტეტი |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 212693049 |
| ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა) | თამარ მეფის ქუჩა, N59, ქ.ქუთაისი, 4600, საქართველო |
| ვებ-გვერდი | www.atsu.edu.ge |
| ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ | ავტორიზებული |
| გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი | 07.09.2018<br>№61 |
| ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი | 07.09.2024 |

## რაოდენობრივი მაჩვენებლები

### პროგრამები[2][3]

| | |
|---|---|
| **უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა** | |
| ბაკალავრიატი | |
| მაგისტრატურა | |
| ერთსაფეხურიანი | |
| დოქტორანტურა | |
| მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი) | |
| ქართულ ენაში მომზადების | |
| აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა | |
| საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა | |
| ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[4] | |
| გაცვლითი პროგრამების რაოდენობა | |

### სტუდენტები

| | | | |
|---|---|---|---|
| სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა | | | |
| | აქტიური | შეჩერებული | პროგრამის დასრულების მაჩვენებელი |
| სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა | | | |
| ბაკალავრიატი | | | |
| მაგისტრატურა | | | |
| ერთსაფეხურიანი | | | |
| დოქტორანტურა | | | |
| მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი) | | | |
| ქართულ ენაში მომზადების პროგრამა | | | |

[2] პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები არ არის შევსებული, ვინაიდან შესაფასებელ სტანდარტებთან მიმართებით არ იყო აღნიშნული ინფორმაცია რელევანტური

[3] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[4] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის ჰ[48] პუნქტში

| | | | |
|---|---|---|---|
| უცხოელი სტუდენტების რაოდენობა | | | |
| სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა | | | |

## პერსონალი[5]

| მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ | |
|---|---|
| უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი) | 977 |
| **სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა** | 484 |
| - პროფესორი | 85 |
| - ასოცირებული პროფესორი | 341 |
| - ასისტენტ პროფესორი | 58 |
| - ასისტენტი | - |
| **სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა** | - |
| - მეცნიერი | - |
| - პოსტდოქტორანტი | - |
| **სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა** | 464 |
| - აფილირებული პროფესორი | 82 |
| - აფილირებული ასოცირებული პროფესორი | 331 |
| - აფილირებული ასისტენტ პროფესორი | 51 |
| - აფილირებული ასისტენტი | - |
| სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა | 6 |
| კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა | 6 |
| სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი | 153 |
| ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი | 83 |

## შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი[6]

| | |
|---|---|
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში | |
| დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში | |
| დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში | |

[5] პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლები სრულად არ არის შევსებული, ვინაიდან შესაფასებელ სტანდარტებთან მიმართებით არ იყო აღნიშნული ინფორმაცია რელევანტური

[6] შენობა-ნაგებობათა საერთო ფართის შესაბამისი ველები არ არის შევსებული, ვინაიდან შესაფასებელ სტანდარტებთან მიმართებით არ იყო აღნიშნული ინფორმაცია რელევანტური

## მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

| |
|---|
| **აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:**<br><br>განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 10 ივნისის ბრძანების MES 4 20 00451346 თანახმად, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2020 წლის 4 ივნისის წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №432881) წარმოდგენილი დოკუმენტაციის ავტორიზაციის მე-2 და მე-6 სტანდარტებთან შეფასების მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი და შესწავლილი გარემოებების გათვალისწინებით მოხდა დასკვნის წარმოდგენა. აღნიშნული მონიტორინგი განხორციელდა ავტორიზაციის შედეგად გაცემული რეკომენდაციების და უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მასალების განხილვით მე-2 და მე-6 სტანდარტებთან მიმართებაში. ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე, საჭირო გახდა უნივერსიტეტისგან დამატებით დოკუმენტების გამოთხოვა, რომელიც დროულად და მოწესრიგებულად იქნა უზრუნველყოფილი. |
| **მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:**<br><br>☒ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება<br>შეფასების განხორციელების თარიღი: 2018 წელი (ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება 07.09.2018)<br><br>☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება<br>შეფასების განხორციელების თარიღი: ___________________<br><br>☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება<br>შეფასების განხორციელების თარიღი: ___________________<br><br>☐ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში<br>შეფასების განხორციელების თარიღი: ___________________ |

| უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია): | აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით: |
|---|---|
| 2.1<br>უზრუნველყავით სტრატეგიული გეგმის გაძლიერებული მონიტორინგი | **ნაწილობრივ შესრულებულია,** შემუშავებულია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის პოლიტიკა და პროცედურები, თუმცა ჯერ არ განხორციელებულა ამ პროცედურის შესაბამისად მონიტორინგი |
| 2.1<br>ჩართეთ უცხოელი სტუდენტები თვითმმართველობაში | **ნაწილობრივ შესრულებულია,** ჩართეთ უცხოელი სტუდენტები არჩევითი ორგანოების მუშაობაში და დაგეგმეთ მეტი აქტივობები მართვის ორგანოებში ჩართულობისთვის სტუდენტებში ცნობიერების ასამაღლებლად. ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია საჯაროა, არჩევნებში ზოგადად სტუდენტ კანდიდატთა რეგისტრაცია (მათ შორის უცხოელის საერთოდ არ არის) დაბალია. |

| | |
|---|---|
| 2.1.<br>ხელი შეუწყვეთ კურსდამთავრებულებთან მუშაობის მიმართულებას და გახადეთ იგი უნივერსიტეტის სტრუქტურული ნაწილი | **შესრულებულია,** სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის ერთ-ერთი მიმართულება მოიცავს აწსუ-ს კურსდამთავრებულთა ქსელს; უნივერსიტეტში შექმნილია „მეგობართა კლუბი“ |
| 2.1.<br>ჩართეთ სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახური ინსტიტუციის მენეჯმენტში | **შესრულებულია,** დამხმარე სტრუქტურული ერთეულია ,,სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური'' რომელის ერთ-ერთი მიზანია სტუდენტთა კარიერული განვითარების სერვისი, აწსუ-ს კურსდამთავრებულთა ქსელის მხარდაჭერა. აღნიშნული სამსახური უნივერსიტეტის სტრუქტურას 2018 წლის 7 სექტემბრიდან დაემატა და მანამდე სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისცენტრის ფუნქციას ასრულებდა. |
| 2.2. გადახედეთ საუნივერსიტეტო გამოკითხვების მეთოდოლოგიას. | **შესრულებულია,** განახლებული პოლიტიკის თანახმად აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურა, რომლიც ითვალისწინებს აწსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული პირების გამოკითხვას. კერძოდ, ყოველი სემესტრის ბოლოს ხდება სტუდენტებისა და ლექტორ-მასწავლებლების, ორ წელიწადში ერთხელ დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა. სწორედ აღნიშნული პოლიტიკა იყო ასახული 2018 წლის შემდეგ გავლილ ყველა აკრედიტირებულ პროგრამაში და სწორედ, პროგრამების არსებობა წარმოადგენს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ახალი პოლიტიკის ეფექტურობის ერთგვარ მტკიცებულებას. |
| 2.2. უზრუნველყავით რომ ყველა შესაბამისი პერსონალის მიერ გათვალიწინებული იყოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებით მიღებული შედეგები | **შესრულებულია,** აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული პოლიტიკა ითვალისწინებს შიდა ხარისხიის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებით მიღებული შედეგების პერსონალის მიერ გათვალისწინებას, რაც დასტურდება შესაბამისი ანგარიშებით |
| 2.2. უზრუნველყავით ხარისხის ციკლის დასრულება სამოქმედო გეგმების შემუშავებით და მათი განხორციელებით ფაკულტეტების/სტრუქტურული ერთეულების დონეზე. | **შესრულებულია,** შემუშავებულია ფაკულტეტების/სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმები და წარმოდგენილია ანგარიშები |
| 2.2.<br>თანამშრომელთათვის ტრეინინგების შეთავაზებითა და უსდ-ს მენეჯმენტის მხრიდან გააგრძელეთ შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში ჩართული პერსონალის მხარდაჭერა | **შესრულებულია,** უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრი, რომლის ერთ-ერთი მიზანი სწორედ არაფორმალური განათლების ტრენინგ-კურსებისა და მოდულების შემუშავება, განხორციელება და მიღებული განათლების/უნარების დადასტურება; |

| | |
|---|---|
| | აწსუ-ში გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით ჩატარდა და მიმდინარებს ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები როგორც აკადემიურ პერსონალთან, ისე სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებთან პროფესიული განვითარებისთვის. |
| 2.2.<br>გააუმჯობესეთ და შეაფასეთ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმები. | **არ არის შესრულებული,** ვიზიტის შემდგომ არ შესულა ცვლილებები კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში და არ მომხდარა შეფასება |
| 2.3 აწსუ-ს მედიცინისა და ჯანდაცვის ფაკულტეტების კურსდამთავრებულთა პროფესიონალიზმის მხარდასაჭერად, უზრუნველყავით ეთიკის კომისიაში აკადემიური პერსონალის მინიმუმ ერთი წევრის ყოფნა კლინიკური მიმართულებით. | **ნაწილობრივ შესრულებულია** უსდ-ს ჰყავს კომისია, რომელიც კომპლექტდება შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტებით, რაც გარკვეულწილად უზრუნველყოფს შემუშავებული რეკომენდაციის შესრულებას. თუმცა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნილი კომისიის მუშაობის შესახებ ინფორმაცია არ არის ასახული ანგარიშში და არც წარმოდგენილ დოკუმენტებშია. რაც შეეხება უნივერსიტეტის ეთიკის კომისიას, 2020 წლის 25 მაისს დამტკიცდა (ბრძანება #01-04/32) ეთიკის კომისია, რომლის წევრიც არ არის აკადემიური პერსონალი მედიცინის მიმართულებიდან, თუმცა კომისიის სტუდენტი წევრი მედიცინის ფაკულტეტიდანაა არჩეული. |
| 2.3.<br>გაზარდეთ ინფორმირებულობის ხარისხი პლაგიატის შემთხვევების გამოვლენის მექანიზმების შესახებ; | **ნაწილობრივ შესრულებულია,** უნივერსიტეტმა რეკომენდაციის შესასრულებლად ჩაატარა ტრენინგები, შეხვედრები და ა.შ. თუმცა თავად უსდ-ს მიერ გასაუმჯობესებელ მხარედ იდენტიფიცირდა „პლაგიატის პრევენციის მიზნით აქტიური საინფორმაციო კამპანიის წარმოება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის" |
| 2.3.<br>გაზარდეთ ინფორმირებულობის ხარისხი ეთიკის კომიტეტის მუშაობის შესახებ. | **ნაწილობრივ შესრულებულია,** ეთიკის კომისიის მუშაობა რეგულირდება ეთიკის კოდექსის მიხედვით, რომელიც უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია, ეთიკის კომისიასთან ერთად უნივერსიტეტში სტუდენტებისა და პერსონალის უფლებებისა და ლეგიტიმური ინტერესების დაცვას ემსახურება ომბუდსმენის ოფისი (https://atsu.edu.ge/index.php/students-ombudsman-info), თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით გაძლიერდეს აქტივობები, შემუშავდეს გზამკვლევები (ვიდეო, ბეჭდური) და ა.შ. |
| 6.1.<br>განახორციელეთ კვლევის განვითარების პოლიტიკის მონიტორინგი მისი ეფექტურად დანერგვისა და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. | **შესრულებულია,** არსებული სიუაციის გამოსწორების მიზნით, უნივერსიტეტის კვლევის განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიმა შეისწავლა არსებული მდომარეობა და დაადგინა სუსტი და გასაუმჯობესებელი მხარეები |
| 6.1 | **შესრულებულია,** უნივერსიტეტმა „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, |

| | |
|---|---|
| ჩამოაყალიბეთ რეგულაციები რიგი სადოქტორო პროგრამების გაუქმებასთან დაკავშირებით. | აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ წესში შეიტანა ცვლილება, რის საფუძველზეც სადოქტორო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა უფლება მობილობა განახორციელოს მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამაზე ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დადგენილებით და სადოქტორო პროგრამით დადგენილი დამატებითი მოთხოვნების გათვალისწინებით. |
| 6.1.<br>წაახალისეთ აკადემიური პერსონალი და სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტები, რომ გაიუმჯობესონ უცხო ენების ფლობის უნარები, რათა მიეცეთ საშუალება ჩაერთონ საერთაშორისო კვლევებში და ქონდეთ უცხოურ ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნების შესაძლებლობა. | **ნაწილობრივ შესრულებულია,** აკადემიური პერსონალის და სტუდენტების წახალისების მიზნით, უნივერსიტეტი აკადემიურ პერსონალს უფასოდ, ხოლო სტუდენტებს შეღავათიან ფასში სთავაზობს ენებში გადამზადებას; ამასთან უცხოურ ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნების წახალისების მიზნით, უნივერსიტეტმა გაზარდა აკადემიური პერსონალის წლიური საათების რაოდენობა. თუმცა მნიშვნელოვანია განხორციელდეს აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების დაინტერესებას, რომ რაც შეიძლება მეტი პირი ჩაერთოს უცხო ენების ფლობის უნარების გასაუმჯობესებელ კურსებში და მიეცეთ საშუალება, ჩაერთონ საერთაშორისო კვლევებში და ჰქონდეთ უცხოურ ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნების შესაძლებლობა. |
| 6.2.<br>უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს წინადადება კვლევის მიმართულების განსაზღვრის მიზნით. | **შესრულებულია,** უნივერსიტეტმა ფაკულტეტების მიხედვით განსაზღვრა კვლევითი პროფილების პრიორიტეტული მიმართულებები |
| 6.2.<br>ჩართეთ უფრო მეტი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, სტუდენტები კვლევის განვითარებაში და გაითვალისწინეთ მათი ინტერესი ინგლისური ენის შესწავლასთან დაკავშირებით. | **ნაწილობრივ შესრულებულია,** უნივერსიტეტმა შეისწავლა აკადემიური პერსონალის რეზიუმეები და ჩაატარა გამოკითხვა, რის შედეგადაც შემუშავდა ანგარიში და წარედგინა ყველა ფაკულტეტს, ამასთან სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართულობის გაზრდის მიზნით სიმბოლურად წახალისდა სტუდენტები სტუდენტურ კონფერენციაზე. მკვლევართა ჯგუფებში ინგლისური ენის კომპეტენციის განვითარებისთვის, აკედემიური პერსონალის წლიურ დატვირთვაში გაიზარდა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო გამოცემებში სტატიის მომზადებისთვის საათების რაოდენობა. თუმცა სტუდენტთა კვლევის განვითარებაში ჩართულობის უზურნველსაყოფად, მნიშვნელოვანია შემუშავდეს სხვადასხვა მექანიზმი (გარდა კონფერენციებზე სიმბოლურად წახალისებისა), მაგალითად, |

| | |
|---|---|
| | უნივერსიტეტმა დააფინანსოს და განახორციელოს სტუდენტების კვლევითი პროექტები (მათ შორის, პერსონალის ჩართულობით). |
| 6.2.<br>გადახედეთ უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის მემორანდუმებს და ფოკუსირდით უფრო მეტად აქტიურ თანამშრომლობაზე, ვიდრე მემორანდუმების რიცხვზე, განსაკუთრებით სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობის მიმართულებით. | **შესრულებულია,** უნივერსიტეტმა განაახლა მემორანდუმები როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პარტნიორებთან კონკრეტული აქცენტების გათვალისწინებით |
| 6.2.<br>უნივერსიტეტმა უნდა ჩამოაყალიბოს კონკრეტული რეგულაცია სამეცნიერო პერსონალის შეფასების მიზნით. | **შესრულებულია,** უნივერსიტეტში კვლევის პროცესის მონიტორინგსა და ტექნიკურ შეფასებას ახორციელებს კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ფაკულტეტებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით; |
| 6.2.<br>უნივერსიტეტმა უნდა ჩამოაყალიბოს კონკრეტული რეგულაცია ახალგაზრდა მკვლევარებისა და დოქტორანტების სამეცნიერო პროექტებსა და საერთაშორისო მობილობაში ჩართულობასთან დაკავშირებით. | **შესრულებულია,** უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციულ პერსონალის მონაწილეობის წესი |
| 6.2.<br>განავითარეთ მკვლევართა ჯგუფის წევრების უცხო ენის უნარები | **ნაწილობრივ შესრულდა,** ვინაიდან ენობრივი უნარების განვითარების ფაქტობრივი მონაცემები არასახარბიელოა. საჭიროა მკვლევართა ჯგუფებს ჰქონდეთ უფრო მაღალი ენობრივი უნარები. |
| 6.3.<br>უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს სტრატეგია, რომელიც მალე (დაახლოებით 1-2 წელიწადში) საშუალებას მისცემს შეაფასოს კველვითი საქმიანობა და კველვითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია. | **შესრულებულია,** უნივერსიტეტმა შეიმუშავა კვლევის სტრატეგია რომლის მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტში კვლევასთან დაკავშირებული მიდგომების განსაზღვრა, სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალში კვლევითი აქტივობის განვითარების ხელშეწყობა და ამ აქტივობებზე პასუხისმგებელი ორგანოების/პირების იდენტიფიცირება |

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

### რეკომენდაციები

- ჩართეთ უცხოელი სტუდენტები არჩევითი ორგანოების მუშაობაში და დაგეგმეთ აქტივობები მართვის ორგანოებში ჩართულობისთვის სტუდენტებში ცნობიერების ასამაღლებლად
- განახორციელეთ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი შემუშავებული მონიტორინგის პროცედურებისა და პოლიტიკის შესაბამისად
- გააუმჯობესეთ და შეაფასეთ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმები
- გაზარდეთ ინფორმირებულობის ხარისხი ეთიკის კომიტეტის მუშაობის შესახებ
- პლაგიატის და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის სხვა ფორმების გამოვლენის შემთხვევაში მათს განსახილველად უზრუნველყავით შესაბამისი დარგის სპეციალისტებისგან

დაკომპლეტქებული კომისიების მუშაობა; უზრუნველყავით უნივერსიტეტის ეთიკის კომისიაში აკადემიური პერსონალის მინიმუმ ერთი წევრის ყოფნა კლინიკური მიმართულებით

- განახორციელეთ აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს აკადემიური პერსონალი და სტუდენტების ჩართულობის გაზრდას, რათა გაიუმჯობესოს უცხო ენების ფლობის უნარები და მიეცეთ საშუალება, ჩაერთონ საერთაშორისო კვლევებში და ჰქონდეთ უცხოურ ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნების შესაძლებლობა.
- ვინაიდან ენობრივი უნარების განვითარების ფაქტობრივი მონაცემები არასახარბიელოა, საჭიროა მკვლევართა ჯგუფებს ჰქონდეს უფრო მაღალი ენობრივი უნარები.
- დანერგეთ და განახორციელეთ სამეცნიერო პერსონალის შეფასებისა და ახალგაზრდა მკვლევარებისა და დოქტორანტების სამეცნიერო პროექტებსა და საერთაშორისო მობილობაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული რეგულაციები

## რჩევები

## საუკეთესო პრაქტიკა

## დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

| | სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|---|
| | 1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 1.1 | უსდ-ის მისია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 1.2 | სტრატეგიული განვითარება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| | 2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 2.1 | ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 2.2 | ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 2.3 | ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| | 3. საგანმანათლებლო პროგრამები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.1 | საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.3 | სწავლის შედეგების შეფასება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| | 4. უსდ-ის პერსონალი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4.1 | პერსონალის მართვა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4.2 | აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| | 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5.1 | სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5.2 | სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა | | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 6.1 | კვლევითი საქმიანობა | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 6.2 | კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 6.3 | კვლევითი საქმიანობის შეფასება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები | | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7.1 | მატერიალური რესურსები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7.2 | საბიბლიოთეკო რესურსები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7.3 | საინფორმაციო რესურსები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7.4 | ფინანსური რესურსები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ქეთევან აფთარაშვილი (თავმჯდომარე)
2. გოდერძი ბუჩაშვილი (წევრი)
3. გიორგი ქურდაძე (წევრი)

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

### 1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

**უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.**

| 1.1 უსდ-ის მისია |
|---|
| უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:** |
| მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები[7]; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობისას). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** |
| მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). |

[7] ეს რეკომენდაციები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ავტორიზაციის, სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის, საგანმანათლებლო პროგრამის დამატების და/ან ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით განხორციელებულ ბოლო შეფასებასთან.

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**რჩევები:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.2 სტრატეგიული განვითარება**

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები,ინტერვიუს შედეგები და სხვა).

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**რჩევები:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

**უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.**

### 2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.
- უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

2018 წლის დეკემბერში განხორციელებული ავტორიზაციის დასკვნის მიხედვით, აწსუ-სთვის რეკომენდაციას წარმოადგენდა: **„ჩართეთ უცხოელი სტუდენტები თვითმმართველობაში" კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში აღინიშნა, რომ აფიქრებდათ „სტუდენტთა ჩართულობა არჩევითი ორგანოების მუშაობაში" და** ვინაიდან უნივერსიტეტი ზრდის საერთაშორისო სტუდენტების კონტიგენტს, აუცილებელი იყო, რომ **„უცხოელი სტუდენტები ჩართულები იყვნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში"**

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს: „საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტური თვითმმართველობის, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მართვის წარმომადგენლობით ორგანოებში (აწსუ-ს წესდება, მუხლი 53. პ.2, )

უსდ-ს მართვის ორგანოებში არჩევნები რეგულირდება აწსუ-ს „საარჩევნო კოდექსით'' (აკადემიური საბჭოს დადგენილება №3 (14/15) 06.11.2014), სადაც დეტალურადაა გაწერილი არჩევნების ჩატარების პრინციპები, არჩევნების ჩატარების, ორგანიზების, პროცედურებისა და შედეგების გასაჩივრების წესები.
**წარმომადგენლობითი საბჭოს** არჩევა ხდება საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით უნივერსიტეტის ფაკულტეტებიდან, წარმომადგენლობის საფუძველზე, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, ფაკულტეტებზე მათი რაოდენობის პროპორციულად. უნივერსიტეტის საარჩევნო კოდექსის თანახმად, „უნივერსიტეტის მართვის ორგანოების – აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების არჩევნებს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი და რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არჩევნების დანიშვნის თაობაზე უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და საჯარო გაცნობის მიზნით უნდა გამოიკრას უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე" (მუხლი 12); აწსუ-ს მიერ წარმომადგენლობითი საბჭოს სტუდენტი წევრების არჩევნების დანიშვნის შესახებ ინფორმაცია ვებგვერდზე 2017 წლის 15 ივნისს ბრძანების გამოცემიდან მეორე დღესვე გამოქვეყნდა https://atsu.edu.ge/index.php/universitetis-reqtori/orders?task=document.viewdoc&id=153 და ამ სიახლის ნახვების რაოდენობა - 2363. ასევე, აღსანიშნია, რომ კანდიდატებს რეგისტრაციისთვის გონივრული ვადა - 10 დღე ჰქონდათ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით იქნა გამოთხოვილი საარჩევნო კომისიის მიერ ხმის დათვლის შედეგების შემაჯამებელი ოქმი, რომლის მიხედვითაც დგინდება არჩევნებში სტუდენტ ამომრჩეველთა მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი:

- საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი - 57,4%
- ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 11,4%
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 7%
- აგრარული ფაკულტეტი - 17,5%
- მედიცინის ფაკულტეტი - 8,4%
- საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი - 26,1%
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი - 6,8%
- პედაგოგიური ფაკულტეტი - 11%

- საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი - 16,3%

ამასთან აღსანიშნია, რომ არჩევნებში რეგისტრირებული იყო 13 კანდიდატი (მათ შორის არცერთი მათგანი არ არის უცხოელი სტუდენტი) და არჩევნების შედეგების საფუძველზე ცამეტივე მათგანის წარმომადგენლობით საბჭოში უფლებამოსილების ცნობა მოხდა (დადგენილება №121, 05.07.2017). საერთო ჯამში კი წარმომადგენლობითი საბჭო შედგება 36 წევრისგან, მათ შორის 8 პროფესორი, 14 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი და 13 სტუდენტი. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში შედის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით შესწავლილ იქნა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმები (ბოლო 6 თვის) და ირკვევა, რომ საბჭოს სტუდენტი წევრების დასწრების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, თუმცა ოქმებში არ ფიქსირდება მათი აქტიურობა საკითხების განხილვის ეტაპზე;

ამდენად, წარმოდგენილი მონაცემებიდან გამომდინარე, აწსუ-ს რიგი ფაკულტეტის სტუდენტები (საინჟინრო-ტექნოლოგიური, საზღვაო-სატრანსპორტო) აქტიურად არიან ჩართულნი არჩევნებში, საჯაროა ინფორმაციაც, თუმცა არჩევნებში კანდიდატად რეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობა შეინიშნება, რომ დაბალია, რაც მნიშვნელოვნად საჭიროებს სტუდენტების მართვის ორგანოებში ჩართულობისთვის ცნობიერების ასამაღლებელი საჭირო აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებას.

რაც შეეხება **ფაკულტეტის საბჭოს,** მის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა თვითმმართველობის არჩეული წარმომადგენლები, არანაკლებ საბჭოს შემადგენლობის ¼-ისა. ფაკულტეტის საბჭო აირჩევა 4 წლის ვადით და ფაკულტეტის საბჭოების წევრი სტუდენტებისაგან შემდგარი ორგანო - სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტი. ფაკულტეტის საბჭოს არჩევის წესი, წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია, არჩევნების ორგანიზება და პროცედურები რეგულირდება შესაბამისი ფაკულტეტების დებულებით. არჩევნები ეფუძნება ძირითად პრინციპებს: პირდაპირი, თავისუფალი, თანასწორი არჩევნები. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია ფაკულტეტის საბჭოს არჩევნების ჩატარების შესახებ (https://atsu.edu.ge/index.php/universitetis-reqtori/orders?task=document.viewdoc&id=797, რექტორის ბრძანება №01-04/40, 06.06.2019) და 2019 წელს ფაკულტეტის საბჭოს წევრების არჩევნებში არ იყვნენ ჩართული უცხოელი სტუდენტები, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტის წევრია, რომელთა არჩევაც 2018 წელს მოხდა. საუნივერსიტეტო ცხოვრებაში უცხოელი სტუდენტების ჩართულობის მიზნით უსდ-ში მოქმედებს პროექტი ,,მე-უნივერსიტეტი'', რომელიც გარკვეულწილად ხელს უწყობს უცხოელი სტუდენტების გააქტიურებას.

ავტორიზაციის დასკვნის მიხედვით, გაიცა რეკომენდაცია: **,,ჩართეთ სტუდენტთა კარიერული განვითარების მომსახურება მენეჯმენტში". კერძოდ, აღინიშნა, რომ** ჯგუფმა ,,გამოავლინა სფეროები, სადაც მოიკოჭლებს განხორციელება (კარიერული განვითარება) და არის დუბლირებული ფუნქციები (სტუდენტთა მხარდაჭერა)"

აწსუ-ს დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ სწავლა/სწავლებასთან და სამეცნიერო კვლევებთან დაკავშირებული პროცესების მხარდაჭერას, სტუდენტებისა და საუნივერსიტეტო საზოგადოების მოთხოვნებზე მორგებული სერვისებისა და შემოქმედებითი აქტივობების განხორციელება/განვითარებას, აგრეთვე ინფორმაციის, ადამიანური და მატერიალური რესურსების, ინფრასტრუქტურის მართვასა და განვითარებას. სწორედ დამხმარე სტრუქტურული ერთეულია **,,სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური",** რომლის მიზანია სტუდენტების მოთხოვნებზე ორიენტირებული სერვისების მიწოდება, მათ შორის: სტუდენტისა და უნივერსიტეტის მართვის სტრუქტურებთან მედიაციისა და კონსულტაციის სერვისი, ტუტორის სერვისი, პირველკურსელებთან გაცნობითი (ინფორმაციული) სახის შეხვედრების ორგანიზება, სტუდენტთა კარიერული განვითარების სერვისი, აწსუ-ს კურსდამთავრებულთა ქსელის მხარდაჭერა, იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარების სერვისები, სტუდენტური საცხოვრისით უზრუნველყოფის მხარდაჭერა და სხვა; *აღნიშნული სამსახური უნივერსიტეტის სტრუქტურას 2018 წლის 7 სექტემბრიდან დაემატა, რომელიც მანამდე სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისცენტრის ფუნქციას ასრულებდა.*

აღსანიშნავია, ისიც, რომ 2019 და 2020 წელს უნივერსიტეტის სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე ჩამოყალიბდა ,,**პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრი**'' და **,,ენების შემსწავლელი ცენტრი"**

დამატებით აღსანიშნია, რომ უნივერსიტეტის ვებგვერდზე წარმოდგენილი ე.წ. ტუტორების ვალდებულებების ან/და მათი „ამოცანების“ ჩამონათვალიდან, დასტურდება მათი ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის წრედში. აქვე ვებგვერდზე ასახულია როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუდენტების ჩართულობა აღნიშნულ სისტემაში, რაც თავისთავად უსდ-ს უცხოელებთან თანამშრომლობის სურვილის მტკიცებულებას წარმოადგენს,

თუმცა აქვე აღსანიშნავია: ვებგვერდიდან ჩანს, რომ ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით უფრო მეტად მედიცინის ფაკულტეტი ისწრაფვის და ექსპერტთა რჩევა იქნება სხვა პროგრამების მხრიდანაც გამოჩნდეს ეს სწრაფვა და უცხოელების ჩართულობა როგორც ყველა საფეხურზე, ისე ყველა საუნივერსიტეტო პროგრამაში. უცხოელების ჩართულობა სასურველია აგრეთვე აისახოს ტუტორების სიაში (არამარტო სამედიცინო ფაკულტეტის გრაფაში) ისევე მოხდეს უცხოელი სტუდენტების ფართო ინტეგრაცია პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტურ კონტინგენტებშიც.

ავტორიზაციის დასკვნის მიხედვით, გაიცა რეკომენდაცია. **„ხელი შეუწყეთ კურსდამთავრებულებთან მუშაობის მიმართულებას და გახადეთ იგი უნივერსიტეტის სტრუქტურული ნაწილი"**

უნივერსიტეტის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა საუნივერსიტეტო პროცესებში ჩართულობის უზრუნველყოფა. **აწსუ-ს სამოქმედო გეგმის მიხედვით (2018-2020), დაგეგმილია:**

- უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა საუნივერსიტეტო პროცესებში ჩართულობის პოლიტიკის შემუშავება და განვითარება
- უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შესახებ საინფორმაციო სისტემის (რეესტრის) შემუშავება და
- უნივერსიტეტის მეგობართა კლუბის დაფუძნება და განვითარება.

აწსუ-ს პროგრამების შემუშავებისა და განვითარებაში ჩართულები არიან კურსდამთავრებულები; აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის ერთ-ერთი მიმართულება მოიცავს აწსუ-ს კურსდამთავრებულთა ქსელს (www.alumni.atsu.edu.ge), რომლის ფუნქციაცაა მჭიდრო კავშირის დამყარება კურსდამთავრებულებთან, შეხვედრების ორგანიზება კურსდამთავრებულთა ბაზების განახლება. აწსუ-ს კურსდამთავრებულთა ქსელს ჰყავს კოორდინატორი. რაც შეეხება უნივერსიტეტში „მეგობართა კლუბის" შექმნას, გულისხმობს საზოგადოების ცნობადი სახეებისგან, უნივერსიტეტის წარმატებული კურსდამთავრებულებისა და ყველა დაინტერესებული პირებისგან შემდგარი არაფორმალური საკონსულტაციო გაერთიანების ჩამოყალიბებას, რომელიც არ იქნება ფორმალიზებული სტრუქტურა მკაცრად განსაზღვრული შემადგენლობით, რამდენადაც გაერთიანების ფორმირების პროცესი დამოკიდებულია დაინტერესებული პირების ნებელობაზე. ამასთანავე, აწსუ-ს ადმინისტრაციის მიერ მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ მოხდეს მსჯელობა უნივერსიტეტის მეგობართა კლუბის საჭიროებასა და ფორმალიზაციის საკითხზე საუნივერსიტეტო საზოგადოების და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. ამ ეტაპზე აღნიშნული გაერთიანების ფარგლებში განხორციელებულია უკვე რიგი სხვადასხვა ტიპის აქტივობა: ღია ლექციების ციკლი, საზაფხულო და ზამთრის სკოლების ორგანიზება, საპატიო დოქტორის ხარისხის მინიჭება და ა.შ.

**ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია: „უზრუნველყავით სტრატეგიული გეგმის გაძლიერებული მონიტორინგი"**

უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის პოლიტიკა და პროცედურები (აკადემიური საბჭოს 2020 წლის 25 მაისის დადგენილება №56(19/20)). დოკუმენტის მიზანია აღწეროს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამწლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ზოგადი მიდგომები, მოთხოვნები და სამუშაო პროცესები. დოკუმენტი გამოიყენება უნივერსიტეტის ყველა ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების მიერ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შეფასების პროცესებში. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესრულების მონიტორინგი განხორციელდება ყოველწლიურად (არაუგვიანეს 25 დეკემბრისა წლიური მონიტორინგის მტკიცდება წარმომადგენლობით საბჭოზე), მეოთხე კვარტლის განმავლობაში და ასევე, სხვადასხვა გარემოებებიდან გამომდინარე ვადაზე ადრე (ახალი სტრატეგიული გეგმა, ცვლილებები და ა.შ.); გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, ის, რომ აწსუ-მ წარმოადგინა სამსახურების, დეპარტამენტების, ფაკულტეტების წლიური ანგარიშის ფორმები, რომლებშიც გათვალისწინებულია მათი მუშაობის აღწერა აწსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის, საკვანძო ინდიკატორების 2018-2024 მონიტორინგის გეგმისა და 2018-2020 სამოქმედო გეგმის შესაბამისად. დადგენილია სამსახურები, დეპარტამენტებისა და ფაკულტეტების წლიური ანგარიშების წარმოდგენის ვადები (ძირითადად სექტემბრის დასაწყისი პერიოდებია განსაზღვრული); ამდენად შემუშავებულია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის სათანადო პოლიტიკა და პროცედურები, თუმცა ვადებიდან

გამომდინარე (25 დეკემბერი), ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვერ მოხდება შეფასება აწსუ-ს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების დებულებები
- ავტორიზაციის მონიტორინგის ანგარიში
- აწსუს წესდება
- ვებგვერდი
- რექტორის ბრძანება (№01-04/87, 22.11.2018) აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების დანიშვნის შესახებ (https://atsu.edu.ge/index.php/universitetis-reqtori/orders/rec2018/01-04-87);
- რექოტორის ბრძანება (№01-04/40, 14.06.2017) https://atsu.edu.ge/index.php/universitetis-reqtori/orders?task=document.viewdoc&id=153 აწსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოში სტუდენტთა წარმომადგენლების არჩევნების დანიშვნის შესახებ
- აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №121, 05.07.2017
- აწსუ-ს საარჩევნო კომისია, ხმის დათვლის შემაჯამებელი ოქმები
- უსდ-ს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები
- www.alumni.atsu.edu.ge
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები და სამოქმედო გეგმები
- აწსუ - სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის პოლიტიკა და პროცედურები

**რეკომენდაციები:**

- ჩართეთ უცხოელი სტუდენტები არჩევითი ორგანოების მუშაობაში და ინტენსიურად დაგეგმეთ აქტივობები მართვის ორგანოებში ჩართულობისთვის სტუდენტებში ცნობიერების ასამაღლებლად
- განახორციელეთ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი შემუშავებული მონიტორინგის პროცედურებისა და პოლიტიკის შესაბამისად

**რჩევები:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები**

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

2020 წლის ბოლო პერიოდის პანდემიასთან დაკავშირებული მდგომარეობის გათვალისწინებით, აღნიშნული დასკვნა, მონიტორინგის მიზნით აწსუ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ინფორმაციაზე დაყრდნობით არის ასახული. შეფასების ყურადღების საგანი იყო ავტორიზაციის (2018 წლის გადაწყვეტილება ავტორიზაციის შესახებ) დასკვნაში აღნიშნული ხუთი რეკომენდაცია 2.2 სტანდარტის გაუმჯობესებისთვის. აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში შემუშავებულია სათანადო პროცედურები საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის განსახორციელებლად.

უნივერსიტეტში დამტკიცებულია ახალი პოლიტიკა:

1. EP-QA 1.1 საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა;
2. EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა;
3. EP-QA 1.3 მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა.

აწსუ-ს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, აგრეთვე შემუშავებულ იქნა ე.წ. RE-QA ანუ კვლევის განვითარების პოლიტიკა და ME-QA - მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა რაც თავისთავად მოიცავს თვითშეფასების და ანგარიშების პროცედურებს.
1. ME-QA 3.1 თვითშეფასების და ანგარიშების პროცედურა - რისი დამამტკიცებელი საბუთი თვითონ მოწოდებული თვითშეფასების ანგარიშია და ინფორმაცია ჩამოყალიბებული მონიტორინგის ანგარიშისთვის შედგენილ თვითშეფასების დოკუმენტში.
2. ME-QA 3.2 მართვის ეფექტიანობის შეფასების პროცედურა. - რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების კვლევის და მართვის პროცესების პერიოდულ შეფასებებს მუდმივი ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული პოლიტიკის დანერგვით, მისი პირდაპირი გამოყენება და ამ პოლიტიკაზე დაყრდნობა, უზრუნველყოფს მე-6 სტანდარტისთვის კვლევების ზოგადი ეფექტურობის გამოვლენას და შესამლო გაუმჯობესების სწორი პოლიტიკის ჩამოყალიბებას, აგრეთვე მოდის შესაბამისობაში გაცემულ რეკომენდაციასთან 6.3 სტანდარტის გრაფაში - რომელიც ავალდებულებს უნივერსიტეტს შეემუშავებინა სტრატეგია რომელიც კვლევების საქმიანობის დროულ შეფასების შესაძლებლობას მისცემდა.

წარმოდგენილი დანართებიდან და მათი პოლიტიკის და პროცედურების განმარტებებიდან ჩანს, რომ მკაფიოდ და ლაკონურად არის ჩამოყალიბებული პროცედურის მიზნები, პოლიტიკის წინაპირობები, განხორციელების წესები, პასუხისმგებელი ორგანოები, ვადები და სხვ. (წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან : danarti_7_xarisxis_uzrunvelyofis_meqanizmebi)
ნათლად ჩანს, რომ მეთოდოლოგიები, რომლებსაც აერთიანებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის EP-QA; RE-QA; და ME-QA; ახლად დანერგილი პოლიტიკაა და არის გარანტი უსდ-ს ხარისხის სამსახურის წარმატებული მუშაობისთვის.
**ავტორიზაციის დროს გაცემულ იქნა რეკომენდაცია: „გადახედეთ საუნივერსიტეტო გამოკითხვების მეთოდოლოგიას".** როგორც აღინიშნა, განახლებული პოლიტიკის თანახმად აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურა, რომლიც ითვალისწინებს აწსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული პირების გამოკითხვას. კერძოდ, ყოველი სემესტრის ბოლოს ხდება სტუდენტებისა და ლექტორ-მასწავლებლების, ორ წელიწადში ერთხელ დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა. აწსუ-ს მიერ წარმოდგენილ იქნა 2019-20 სასწავლო წელს ჩატარებული (სტუდენტების, კურსდამთავრებულების და აკადემიური პერსონალი; თუმცა არ იქნა წარმოდგენილი ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის შედეგები) გამოკითხვებით მიღებული შედეგები, თუმცა აღნიშნული დოკუმენტები არ შეიცავდა კვლევის შედეგების ანალიზს და ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით იქნა გამოთხოვილი კვლევის შედეგების ანგარიში, რომლის მოწოდებაც ვერ მოხდა, თუმცა აწსუ-ს ანგარიშში აღნიშნულია, რომ სწორედ კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, აკადემიური პერსონალის მიერ სწავლების პოლიტიკის გადახედვას და სრულყოფას, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთასა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას. ანგარიშის თანახმად, 2018

წლის სექტემბრიდან 2020 წლის 1 თებერვლამდე უსდ-ს მიერ აკრედიტაციისთვის წარდგენილ იქნა 23 პროგრამა, რომელთა აკრედიტაციისთვის მზადების პროცესში თვითშეფასების ჯგუფების მიერ გამოყენებული იყო ჩატარებული გამოკითხვების შედეგების ანალიზი და აღნიშნულია, რომ სწორედ აღნიშნული პოლიტიკა იყო ასახული 2018 წლის შემდეგ გავლილ ყველა აკრედიტირებულ პროგრამაში და სწორედ, პროგრამების არსებობა წარმოადგენს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ახალი პოლიტიკის ეფექტურობის ერთგვარ მტკიცებულებას.

გარდა ამისა, აღნიშნული პოლიტიკა ვალდებულია უზრუნველყოს, ყველა შესაბამისი თანამშრომლის კვალიფიკაციების საერთაშორისო შეფასებების გამოკითხვების/შედეგების დასკვნების გათვალისწინებას, არამედ უზრუნველყოფს ხარისხის ციკლის სრულყოფას, სამოქმედო გეგმის შემუშავებით (რაც წარმოდგენილ იქნა უსდ-ს მიერ), ფაკულტეტების სტრუქტურული ერთეულების დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების წარმატებულ ფუნქციონირებას. - რაც ერთგვარად პასუხს სცემს უნივერსიტეტის ავტორიზაციის დროს წაყენებულ რეკომენდაციებს.

2018 წლის დეკემბერში განხორციელებული ავტორიზაციის დასკვნის მიხედვით, აწსუ-სთვის რეკომენდაციას წარმოადგენდა: **,,თანამშრომელთათვის ტრეინინგების შეთავაზებითა და უსდ-ს მენეჯმენტის მხრიდან გააგრძელეთ შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში ჩართული პერსონალის მხარდაჭერა''.**

რაც შეეხება თანამშრომელთა ტრენინგს, აწსუ ახორციელებს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრი, რომლის ერთ-ერთი მიზანი სწორედ არაფორმალური განათლების ტრენინგ-კურსებისა და მოდულების შემუშავება, განხორციელება და მიღებული განათლების/უნარების დადასტურება; სასწავლო და პრაქტიკულ-შემოქმედებითი მუშაობის დაგეგმვა და წარმართვაა. აწსუ-ში გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით ჩატარდა და მიმდინარებს ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები როგორც აკადემიურ პერსონალთან, ისე სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებთან პროფესიული განვითარებისთვის. მაგალითად, პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ 2020 წელს განხორციელდა 10 ტრენინგ-კურსი და გადამზადდა 70 მსმენელი. აღსანიშნავია, ტრენინგ კურსები: ,,სწავლების ინტერაქტიური მეთოდები'' ,,საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება" , „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება - PBL", „შეფასების თანამედროვე მეთოდები სამედიცინო განათლებაში", პლაგიატთან დაკავშირებული ტრენინგები და ა.შ.
გარდა ამისა, აღსანიშნავია რომ თანამშრომლებმა გაიარეს (2011-2018 წლებში) უცხო ენების შემსწავლელი კურსი უნივერსიტეტის დაფინანსებით (ჯამში 73 თანამშრომელი), თუმცა მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით აქტიურად გაგრძელდეს გადამზადება უცხო ენის შემსწავლელ კურსებზე.

აღსანიშნავია, რომ უსდ გარე შეფასების ინსტრუმენტებიდან აქტიურად იყენებს პროგრამული აკრედიტაციისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესშიც, რაც დაკავშირებულია პროცედურით გათვალისწინებული „ორმაგი ექსპერტიზის" დროს სხვადასხვა პარტნიორ უნივერსიტეტებში გარე შემფასებლებთან თანამშრომლობასთან. დარგის სპეციალისტების მიერ გაცემული გარე შეფასებები რეკომენდაციების/რჩევების სახით უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესს.

**ავტორიზაციის დასკვნის მიხედვით, გაცემულ იქნა რეკომენდაცია: ..გააუმჯობესეთ და შეაფასეთ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმები"**

აწსუ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და უსდ-ს მიერ განსაზღვრულია სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის ძირითადი ფაქტორები (მაგალითად, მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინება, პროგრამაზე ჩარიცხვისა და დასრულების მაჩვენებლების დინამიკური ანალიზი, შრომის ბაზრის ანალიზი და ა.შ.); აწსუ-ს მიერ წარმოდგენილ ანგარიშში აღნიშნულია, რომ მოქმედი სტუდენტთა

კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, უნივერსიტეტში ფაკულტეტებს ენიჭებათ მაქსიმალური თავისუფლება თავად განსაზღვრონ სტუდენტთა ოდენობა ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით. საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი განისაზღვრება კონკრეტული სასწავლო წლის მიხედვით და მის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო. მიუხედავად იმისა, რომ უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან არ ჩანს რომ მომხდარიყოს გაუმჯობესება და არ მომხდარა მის შეფასება;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- QA-პოლიტიკები
- წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №174, 28.02.2018 „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის პრინციპების განსაზღვრის შესახებ“
- სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები
- აწსუ-ს ანგარიში
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები და სამოქმედო გეგმები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

**რეკომენდაციები:**

- გააუმჯობესეთ და შეაფასეთ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმები

**რჩევები:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა**

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის დასკვნაში წარმოდგენილია რეკომენდაცია: **„ აწსუ-ს მედიცინისა და ჯანდაცვის ფაკულტეტების კურსდამთავრებულთა პროფესიონალიზმის მხარდასაჭერად, უზრუნველყავით ეთიკის კომისიაში აკადემიური პერსონალის მინიმუმ ერთი წევრის ყოფნა კლინიკური მიმართულებით.”.**

აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2016 წლის 23 თებერვალს დამტკიცებული ეთიკის კოდექსის მიხედვით, ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში დისციპლინურ საქმეს განიხილავს **ეთიკის კომისია,** რომელიც 5 წევრისგან შედგება. კომისიის წევრებს ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და სტუდენტური თვითმმართველობა. კომისიის წევრების არჩევა ხდება 2 წლის ვადით და ამავე კოდექსით განსაზღვრულია, რომ

